დადგენილება № 68/2020 – 2020 წლის 1 ოქტომბრიდან სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის სტუდენტების სარეპეტიციო და სხვა შემოქმედებითი საქმიანობის განხორციელების შესახებ

დადგენილება №68/2020
28 სექტემბერი, 2020

დადგენილება № 68/2020 - 2020 წლის 1 ოქტომბრიდან სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის სტუდენტების სარეპეტიციო და სხვა შემოქმედებითი საქმიანობის განხორციელების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტისა, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-6 მუხლის 1_1 პუნქტის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-227 ბრძანების № 25-ე დანართის და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 სექტემბრის № 36 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის შემდეგი დისციპლინების სტუდენტები (კამერული, საანსამბლო, ვოკალური ანსამბლი, ჩასაბერ საკრავთა ანსამბლი, საოპერო მომზადება, ორკესტრი) 2020 წლის 1 ოქტომბრიდან სარეპეტიციო და სხვა შემოქმედებითი საქმიანობის განხორციელებისათვის დაშვებულ იქნენ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საკონცერტო სივრცეებში;
2. დაევალოთ საშემსრულებლო ფაკულტეტის მიმართულების ხელმძღვანელებს, კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგინონ სარეპეტიციო გრაფიკი;
3. წარმოდგენილი გრაფიკის შესაბამისად სარეპეტიციო-შემოქმედებითი საქმიანობა განხორციელდეს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე, დიდ დარბაზებში, კამერულ დარბაზში, საოპერო სტუდიის დარბაზში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და

სოციალური დაცვის მინისტრის №01-227 ბრძანების დანართი 25-ში წარმოდგენილი რეკომენდაციების შესაბამისად;

4. გრაფიკით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება დარბაზებში დაიწყოს 1 ოქტომბერს და გაგრძელდეს ეპიდემიოლოგიური საფრთხის შემცირებამდე;
5. აღნიშნული გრაფიკის მონიტორინგი დაევალოს სასწავლო დეპარტამენტს, რომელმაც ყოველკვირეული ანგარიში უნდა წარუდგინოს საშემსრულებლო ფაკულტეტის დეკანს ყოველი სასწავლო კვირის ბოლოს;
6. საშემსრულებლო ფაკულტეტის დეკანი ანგარიშს წარუდგენს რექტორს;
7. დადგენილება გადაეგზავნოს საშემსრულებლო ფაკულტეტის დეკანს, კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანს, საშემსრულებლო ფაკულტეტის მიმართულების ხელმძღვანელებს, სასწავლო დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;
8. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge;
9. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე;
10. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).

ნანა შარიქაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე